ოლეკსანდრ კისელოვი[1]

ადამიანის უფლებათა დამცველების პერსპექტივა თურქეთში: მათი წარსული, ღირებულებები და მიზნები[2]

აბსტრაქტი

თურქეთის სახელმწიფო ადამიანის უფლებათა დამცველების მიმართ ყოველთვის მტრულ დამოკიდებულებას ინარჩუნებდა, მიუხედავად მისი ევროპული მისწრაფებებისა. გაუთავებელი ზეწოლისა და დევნის პარალელურად ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციები უწყვეტ რეჟიმში აგრძელებენ ბრძოლას. ამ ნაშრომის მიზანია, გამოიკვლიოს ადამიანების ისტორიები, როგორ ესმით თურქეთის ადამიანის უფლებათა ასოციაციის (IHD) აქტივისტებს ადამიანის უფლებებისა და აქტივიზმის არსი. კვლევის მიზნით 2020 წლის თებერვალში სტამბოლის ოფისის 12 თანამშრომელთან შედგა გასაუბრება. კვლევამ აჩვენა, რომ უსამართლობისა და პოლიტიკური განსჯის პირველადი შემთხვევები, სწორედ, იმ წამყვან ფაქტორებს შორის იყო, რომლებიც უზრუნველყოფდნენ მათ ჩართულობას. აქტივისტები ადამიანის უფლებებს განმარტავდნენ, როგორც ადამიანის ბუნებით თანდაყოლილ უფლებებს და ანონიმურად გვიზიარებდნენ ამ უფლებების უნივერსალური და ინკლუზიური გამოყენების კონცეფციას თანმიმდევრულობისა თუ განსხვავებულობის შენარჩუნების მიზნით. პრეცედენტების თავიდან ასაცილებლად რესპონდენტებმა, ასევე, აღნიშნეს, რომ აუცილებელია გააგრძელონ ბრძოლა მომავალი წარმატების იმედად და ამისთვის ყველა რესურსი უნდა გამოიყენონ. აღნიშნული კვლევა წარმოადგენს წინასწარი მიგნებების თვალსაჩინოებას. შესაბამისად, საკითხის უფრო ღრმა და ყოვლისმომცველი გაგების მიზნით, აღნიშნული თემის ირგვლივ, აუცილებელია, დამატებითი კვლევები.

საკვანძო სიტყვები: *ადამიანის უფლებები თურქეთში, ადამიანის უფლებათა აქტივისტები, ადამიანის უფლებათა დამცველები, IHD, ადამიანის უფლებათა ასოციაცია, ევროკავშირი.*

შესავალი

ევროკავშირში გაწევრიანების პროცესმა თურქეთს დიდი იმედები მოუტანა დემოკრატიზაციის, ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემის კუთხით. 1980-იან წლებში კანონთა ჰარმონიზაციის პროცესი საკმაოდ პოზიტიური შედეგების მომტანი აღმოჩნდა, რაც გამოიხატებოდა მოქალაქეებისთვის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ინდივიდუალური სარჩელების აღძვრის უფლების მინიჭებასა და სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ მორატორიუმის ინიცირების უფლებაში. Kuneralp-ის (2017) მიხედვით 1990-იანი წლების შუა პერიოდში "კანდიდატის სტატუსის მოპოვება და, შესაბამისად, ევროკავშირთან მიერთების მოლაპარაკებების დაწყება... თურქეთის პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტი გახდა." მიუხედავად იმისა, რომ თურქეთმა სტატუსი 1999 წელს მოიპოვა, მოლაპარა-

---

[1] ოლეკსანდრ კისელოვი იყო სამხრეთ კავკასიის რეგიონში ერთობლივი რეგიონული სამაგისტრო პროგრამის „ადამიანის უფლებები და დემოკრატიზაცია" სტუდენტი. ნაშრომი მომზადდა მისი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტში მობილობის პერიოდში, პროფ. დანიელა ურსეს კურსის ფარგლებში. ელ-ფოსტა: kyselov.oleksandr@gmail.com

[2] სტატია ინგლისური ენიდან თარგმნა **მარიამ ქველაძემ**

კებების ოფიციალურად დაწყებას რიგი მიზებების გამო გარკვეული წელი დაჭირდა, რომელთა შორისაც ერთ-ერთი იყო თურქეთის პოლიტიკური კრიტერიუმების შეუსაბამობა წევრობის კრიტერიუმებთან (Tocci 2014, 2).

ევროკავშირსა და თურქეთს შორის სანიმუშო თანამშრომლობისა და ქვეყნის რეფორმირების პროცესში დიდი წვლილი მიუძღვის სამართლიანობისა და განვითარების პარტიას, რომელმაც პოპულარობა, სწორედ, ამ პერიოდში მოიპოვა. თუმცა, მიერთების მოლაპარაკებების ოფიციალურად დაწყებისთანავე ეს პროცესი უეცრად შენელდა და საბოლოოდ სრულად შეჩერდა კიდეც (Goff-Taylor 2017). მოვლენები სრულიად საპირისპირო მიმართულებითაც კი განვითარდა, რაც გამოწვეული იყო Gezi-ს პარკის დემონსტრანტების მიმართ პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან განხორციელებული სისასტიკით, ქურთ მეომრებთან მშვიდობიანი მოლაპარაკებების შეწყვეტითა და ჩატარებული მასობრივი წმენდით.

როგორც ევროკავშირის მიერ თურქეთის შესახებ მომზადებულ მოხსენებაში იყო შეჯამებული (Key Findings 2020), საგანგებო მდგომარეობის დასრულების მიუხედავად, მისმა რიგმა დებულებამ კანონის სახე მიიღო, საგანგებო მდგომარეობით დაზარალებულები სათანადო დახმარების გარეშე დარჩნენ, ხელისუფლების ბალანსი უცვლელი დარჩა და „დემოკრატიის სტანდარტების, კანონის უზენაესობისა და ფუნდამენტური თავისუფლებების უხეში დარღვევები ისევ გაგრძელდა." 2017 წელს ადამიანის უფლებათა აქტივისტების შეხვედრა, რომელიც პრინცის კუნძულზე უნდა გამართულიყო პოლიციამ „ხელახალი სახელმწიფო გადატრიალების" (Çalı 2018, 14) მოტივით აღკვეთა. შესაბამისად, ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ლიბერალიზაციის ჩიხის გამო, კითხვის ნიშნის ქვეშ დგას რაიმე სახის პროგრესი კოპენჰაგენის კრიტერიუმებთან დაახლოებისკენ.

სამოქალაქო საზოგადოების მიმართ მსგავსი მტრული დამოკიდებულება, თავის მხრივ, საშუალებას იძლევა, შევაფასოთ ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციების ფუნქციონირება თურქეთში. იმ პროფესიონალთა ისტორიების შესწავლა, რომლებიც პოსტ-სოციალისტურ ქვეყნებში ასე გავრცელებულ დაჭერის შემთხვევებს გადაურჩნენ, კიდევ უფრო უჩვეულოს ხდის მთელ მოვლენას. აღნიშნული კვლევა შეისწავლის თურქეთის ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ყველაზე დიდი ორგანიზაციის - ადამიანის უფლებათა ასოციაციის აქტივისტთა პირად გამოცდილებებს. სტატია იკვლევს და აანალიზებს მათ ისტორიებს, მოძრაობაში გაწევრიანებისას არსებულ გამოწვევებს, ადამიანის უფლებათა არსის გაგებას და მათ როლს სფეროს სპეციალისტებთან ინტერვიუებისა და დაკვირვების გზით. 2020 წლის თებერვლის თვეში ჩატარებულ გამოკითხვაში მონაწილეობა თორმეტმა ადამიანმა მიიღო, რის შედეგადაც მოპოვებული მონაცემების კრიტიკული შესწავლა მოხდა თემატური ანალიზის გზით.

პირველ ნაწილში წარმოდგენილია მეთოდოლოგიის მოკლე მონახაზი, რომელსაც მოსდევს თემის ირგვლივ არსებული ამჟამინდელი თეორიული დისკუსიების შესახებ მიმოხილვა. შემდეგ კი, ნაშრომში განხილულია ადამიანის უფლებების კუთხით არსებული მდგომარეობა და აქტივიზმი თურქეთში, რათა დადგინდეს და საბოლოოდ შეფასდეს მოპოვებული მონაცემები, რომლებიც წარმოდგენილია დასკვნით ნაწილში.

მეთოდოლოგია

აღნიშნული კვლევა ეფუძნება დასაბუთებული თეორიის ხარისხობრივ მეთოდს. ეს მეთოდი (Glaser & Strauss 1967) მიზნად ისახავს ემპირიულ მონაცემებში „დასაბუთებული" თეორიების განვითარებას. პირველ ეტაპს, რომლის დროსაც ხდება კატეგორიების აღმოჩენა და საკვლევი კითხვების განსაზღვრა, წარმოადგენს თეორიული შერჩევა (Bryman 2012, 419 – 423). მიუხედავად მისი უწყვეტი ხასიათისა, რესურსებისა და არსებული შეზღუდული დროისა, კვლევაში იგი გამოყენებულია როგორც საძიებო ინსტრუმენტი, რომელიც იკვლევს ადამიანის უფლებების აქტივისტთა გამოცდილებებსა და კონცეფციებს, და უფრო ფართო კვლევისთვის შეიმუშავებს იდეებს.

მონაცემთა შეგროვებისას გამოყენებულ იქნა სტრუქტურირებული კითხვები აქტივისტებთან და ადამიანთა უფლებების ასოციაციის საბჭოს წევრებთან, რომლებიც სტამბოლის ოფისს სტუმრობდნენ 2020 წლის თებერვალში. კითხვები იმგვარად იყო ფორმულირებული, რომ ინფორმაცია მიგვეღო რესპოდენტების პირად ისტორიებზე - რამ გამოიწვია ადამიანის უფლებებისადმი მათი ინტერესი, როგორ ესმოდათ ადამიანის უფლებების მნიშვნელობა, როგორ ხედავდნენ საკუთარ როლს ამ უფლებების ფარგლებში და როგორ აღიქვამდნენ ადამიანის უფლებების დამცველთა როლს. შეკითხვები იყო შემდეგი

სახის: "შეგიძლიათ მოგვიყვეთ თქვენი ისტორია?"; "როგორ და როდის დაინტერესდით ადამიანის უფლებებით? "; "რას ნიშნავს თქვენთვის ადამიანის უფლებები და ამ უფლებების დაცვა?"; "თვლით თუ არა, რომ ყველას უფლებები დაცული უნდა იყოს, მათ შორის, ამ უფლებების დამრღვევებისაც? რატომ?"; "რა როლი აქვთ უფლებადამცველებს თურქეთში, ხელისუფლების უკიდურესად მტრული განწყობისა და საყოველთაო აზრისადმი გულგრილი დამოკიდებულის გათვალისწინებით?"

კვლევაში თორმეტმა ადამიანმა მიიღო მონაწილება (6 ქალი და 6 კაცი). მონაწილეთა ასაკი მერყეობდა 30-დან 60 წლამდე. მონაწილეები შეირჩა მათი ისტორიების არაერთგვაროვნების გათვალისწინებით, რაც ჩვენი ღრმა რწმენით, ხელს შეუწყობდა აქტივისტებს შორის მრავალფეროვანი და უკეთესი სურათის შექმნას. 8 მონაწილესთან ინტერვიუ პირისპირ ჩატარდა, ოთხმა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით შეავსო კითხვარი; სამ შემთხვევაში ინგლისურ ენაზე მოხდა გამოკითხვა, ხოლო დანარჩენებთან - თურქულად. პირისპირ გამოკითხულთა თანხმობით მოხდა მათი აუდიო-ჩაწერა, რომელიც შემდეგ დაიბეჭდა და ითარგმნა. ყველა გამოკითხულის კონფიდენციალურობა დაცული იყო. პასუხებს მინიჭებული ჰქონდა კოდები და კატეგორიების მიხედვით იყო დახარისხებული. მოგვიანებით, ციტირებული ტექსტები დაჯგუფდა თითოეული კატეგორიის გასწვრივ და იქამდე დამუშავდა, ვიდრე არ გამოიკვეთა ძირითადი თემები თითოეული საკვლევი კითხვისთვის.

ლიტერატურის მიმოხილვა

ადამიანის უფლებათა უნივერსალური გაგება, რომელიც ევროპაში ჩამოყალიბდა, სხვადასხვაგვარად განიმარტება მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში და შესაბამისად ვრცელდება ადამიანის უფლებათა აქტივიზმსა და მის მნიშვნელობაზე. მიუხედავად ფაქიზი მიდგომისა, ადამიანის უფლებებს იდეოლოგიურად აქვს „ემანსიპატორული პოტენციალი, რომელიც ინსტინქტურად იზიდავს დამორჩილებულ ადამიანებს“ (Arat 2008, 907). შესაბამისად, თუ ზოგიერთ პატარა სახელმწიფოში ამ სფეროს განაგებს არასამთავრობო ორგანიზაციები, სხვაგან, შესაძლებელია, შეგვხვდეს რიგითი მოქალაქეების მიერ ავტონომიური ძალის მქონე მასშტაბური ორგანიზაციები. უცხოურ დაფინანსებაზე დამოკიდებულებამ, შესაძლებელია, გავლენა იქონიოს მათი სტრატეგიებისა და მიზნების არჩევანზე, რათა თანხვედრა მოხდეს დამფინანსებლის პრიორიტეტებთან (Merry 2006, 49). ბოლო დროინდელი „გონივრული, კოლექტიური, ორგანიზებული მცდელობა სოციალური ინსტიტუტის მასშტაბური ცვლილებების განხორციელებით ან წინააღმდეგობის გაწევის არაინსტიტუციონალიზებული საშუალებებით“ (Wilson 1973, 8), შესაძლებელია, ჩაითვალოს სოციალური მოძრაობის წარმომადგენლებად.

Grossklaus (2015) ადამიანის უფლებების ხელშეწყობას მიიჩნევს, როგორც „სხვადასხვა აქტორების მხრიდან განსხვავებული მიზნებითა და სტრატეგიებით განხორციელებულ მოქმედებებს“ (1263), და გვთავაზობს - არადასავლურ საზოგადოებაში ადამიანის უფლებების ენის დამკვიდრების ნაცვლად უკვე არსებული ბრძოლის შემთხვევების რეინტერპრეტირებას (1254 – 55). Merry (2006, 39) ადგილობრივ საზოგადოებაში ადამიანის უფლებათა იდეის ლოკალიზაციის პროცესის აღწერისთვის მიუთითებს „სახალხო გაგების“ კონცეფციაზე, რაც გულისხმობს მნიშვნელობის გარკვეული სახით ცვლილებას არსებული კულტურული ნორმების, ღირებულებებისა და პრაქტიკის გათვალისწინებით.

Achariya (2004) მიუთითებს, რომ „ადგილობრივი აქტორები პასიურ სამიზნე ჯგუფებად და მოსწავლეებად არ რჩებიან, არამედ... ისინი, წინასწარ ჩამოყალიბებული რწმენისა და პრაქტიკის გათვალისწინებით, ხელს უწყობენ ნორმათა გავრცელებას ტრანსნაციონალური ნორმების დასესხებისა და მოდიფიცირების გზით“ (269). აღნიშნულის მსგავსად Merry (2006, 39) ყურადღებას ამახვილებს შუამავალთა განსაკუთრებულ როლზე, როგორც ერთგვარ თარჯიმნებზე, რომლებიც ადგილობრივებს, ერთის მხრივ, ეხმარებიან ადამიანის უფლებათა სტანდარტების განმარტებაში და, ამავდროულად, მათი პრობლემების გამჟღერებლები არიან საერთაშორისო დონეზე. Çalı (2007, 218) ადამიანის უფლებათა ადგილობრივ ჯგუფებს მიიჩნევს „სტრატეგიული ინფორმაციის მომწოდებლებად... ადამიანის უფლებების საერთაშორისო რეჟიმის ფარგლებში“, რომლებიც ქვეყნის შიგნით პოლიტიკური და სოციალური ცვლილების მიზნით მიმართავენ საერთაშორისო საზოგადოებას, რათა გავლენა მოახდინონ ეროვნულ მთავრობებზე.

გასაკვირი არ არის, რომ ადამიანთა მიერ რეალობის გააზრებასა და მათ მოქმედებაზე, შესაძლოა, უახლოესი გარემოცვა ახდენდეს გავლენას (Campbell 2002, 4 – 5). შესაბამისად, შეგვიძია ვივარაუდოთ, რომ ერთი და იმავე ორგანიზაციის აქტივისტებს ადამიანის უფლებების ერთნაირი გაგება აქვთ, ხოლო

იქ სადაც „სხვადასხვა ჯგუფების მიერ სოციალური აზრია გამოხატული, გაზიარებული და გამოყენებული, არსებობს იმედი, რომ რაღაც ახალი ჩამოყალიბდება" (Sarrica et al. 2004, 550).

ნიდერლანდების სამეფოს მემარჯვენე ფრთის აქტივისტებს შორის ჩატარებულმა კვლევამ აქტივიზმის დაწყების სამი მაგალითი მოგვცა: უწყვეტობა, რომელიც თან სდევს წინა სოციალიზაციას, ცხოვრების გარდაქმნა და მოქნილობა, როგორიცაა მაგალითად, გარემო ფაქტორებისადმი გახსნილობა (Linden et al. 2007, 184). ისრაელის რადიკალ მშვიდობიან აქტივისტთა შორის ჩატარებული კვლევის შედეგად გაირკვა, რომ მათი უმეტესობა დაფუძნებული იყო კონკრეტულ წინარე გამოცდილებებზე, როგორიცაა მაგალითად, „ოჯახში ადრეული პოლიტიკური სოციალიზაცია და ახალგაზრდული მოძრაობები„ და „საზოგადოებაში დამკვიდრებული მდგომარეობის საწინააღმდეგო გამოცდილების ან/და ინფორმაციის ზემოქმედებისგან" დაუცველობა (Nasie et al. 2014, 325). ადამიანის უფლებათა ორგანიზაციებს რომ დავუბრუნდეთ, სავარაუდოა, რომ მათი ფორმირება ხშირ შემთხვევაში დაკავშირებულია გარკვეულ ტრაგიკულ შემთხვევებთან, რომელიც შემდეგ მათ მოქმედებას განსაზღვრავს. ამასთან, ასეთი ორგანიზაციების მხრიდან საქმიანობის გაფართოება მათი სიძლიერისა და მუდმივობის გარანტორად გვევლინება (Çalı 2007, 218).

ადამიანის უფლებათა მოძრაობის განვითარება თურქეთში

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებების თემა თურქეთში საკმაოდ ფართო და კომპლექსურია და ყველაფრის ამ ნაშრომში მიმოხილვა შეუძლებელია, შევეცდები, შევეხოთ საკითხის იმ მნიშვნელოვან ასპექტებს, რომელიც კვლევის გააზრებაში დაგვეხმარება.

ზოგადი კონტექსტი

საზოგადოების ჰომოგენიზაციის ტენდენციები ჯერ კიდევ ოსმალეთის იმპერიის ბოლო წლებში შეინიშნებოდა, რამაც საბოლოოდ მიგვიყვანა დაუსრულებელი გენოციდის შემთხვევებამდე სომეხი, ასურელი, ქურთი და პონტოელი ბერძენი ერისადმი (Levene 1998, 393). ახალი თურქეთის რესპუბლიკის პერიოდში ეს შემთხვევები არათუ დაივიწყეს, არამედ გაგრძელდა კიდეც, რაზეც Negrón-Gonzales (2012) აღნიშნავს, რომ „ოფიციალურმა იდეოლოგიამ წარმოქმნა პოლიტიკური კულტურა, რომელიც საფრთხეს უქმნის ეროვნულ უსაფრთხოებას" (422).

Heper-ის აზრით თანამედროვე თურქეთში „ადამიანებს უფლებების ნაცვლად აქვთ მხოლოდ მოვალეობები, სერვისები და ვალდებულებები სახელმწიფოს წინაშე. თურქეთის არმიაში, რომელიც ქვეყნის უსაფრთხოებას ემსახურება, მიაჩნიათ, რომ ყველაფერი ადამიანის უფლებების ჩათვლით უნდა იხარჯებოდეს სახელმწიფოს დაცვის მიზნით" (Heper in Kılıç 1998, 92). აქედან გამომდინარე, სულაც არაა გასაკვირი, რომ ქვეყანაში ადგილი ჰქონდა სამ სამხედრო და ერთ პოსტმოდერნისტულ გადატრიალებას. სამართლიანობისა და განვითარების პარტიის (AKP) 2000-იანი წლების პოლიტიკური ლიბერალიზაცია დიდად ხეირიანი ვერ გამოდგა, რადგან ყოველი მათი პოლიტიკური წარუმატებლობის გამოყენება ხდებოდა „პოლიტიკური მტრების დელეგიტიმაციისთვის" (Bakiner 2013, 16). როგორც Fincancı (2019, 206) მოგვითხრობს „თურქეთის ისტორია აგებულია ძალადობაზე და ამ ძალადობის შენიღბვაზე."

ადამიანის უფლებათა მოძრაობის განვითარება: ადამიანის უფლებათა ასოციაციის (IHD) მაგალითი

თურქეთში 1980 წლის გადატრიალებას სახელმწიფოს მხრიდან უპრეცედენტო ძალადობა მოჰყვა, რა დროსაც პირველივე დღეს დაახლოებით 650,000 ადამიანი დააკავეს, ბევრი აწამეს, ასობით და ათასობით ადამიანი დაკარგულად გამოცხადდა, ხოლო 40,000 ადამიანზე მეტი წლობით გისოსებსში გამოკეტეს (Fincancı 2019, 203 – 204). ამ შემთხვევებმა საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ადამიანის უფლებების მოძრაობას თურქეთში. ადამიანის უფლებების ასოციაცა (IHD) შეიქმნა 1986 წელს მოსახლეობის მოაზროვნე ფენისა და პატიმართა ახლობლების ძალისხმევით, იმ მიზნით, რომ დახმარებოდნენ დაზარალებულებს და დაეცვათ ისინი. როგორც Çalı აღწერს, იმ დროში ადამიანის უფლებების დაცვა ორგანიზაციის ერთადერთი იარაღი იყო (2007, 221 – 222). აღნიშნული გაგრძელდა იქამდე, ვიდრე დისკუსიები არ დაიწყო იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენდა ადამიანის უფლებების აქტივიზმი, იყო ეს მხოლოდ

სოლიდარობის გამოხატულება თანამებრძოლთა მიმართ, თუ რაიმე უფრო დიდ და უნივერსალურ მნიშვნელობას ატარებდა (Negrón-Gonzales 2012, 420).

ქურთი ხალხის პრობლემები თურქეთის პოლიტიკაში შეიძლება განიმარტოს როგორც „დემოკრატიზაციის მთავარი გამოწვევა... ადამიანის უფლებების საკითხი და საერთაშორისო აღიარება“ (Kılıç 1998, 94). დიდი ხნის განმავლობაში ქურთები ითვლებოდნენ „მომთაბარე თურქებად, რომელთაც მათი ენა და კულტურა დაივიწყეს.“ თანამედროვე დროის კონფლიქტი სახელისუფლებო ძალებსა და ქურთების მუშათა პარტიის (PKK) პარტიზანებს შორის დაახლოებით 30 წლის წინ დაიწყო. ამ წლების მანძილზე 4,000-მდე სოფელი გადაიწვა და განადგურდა, 40,000 ადამიანმა დაკარგა საცხოვრებელი, 2 მილიონზე მეტი გადაასახლეს, ასეულობით გაუჩინარდა ან უცნობ ძალებს შეეწირა (Eder 2016; Kılıç 1998, 105; Visweswaran 2013, 14). შეზღუდული ჰქონდათ პოლიტიკაში წარმომადგენლობის უფლება და ქურთების პარტიები ერთი მეორის მიყოლებით იბლოკებოდა: HEP (1993), OZDEP (1993), DEP (1994), HADEP (2003), DTP (2009). დღესაც კი HDP პარტიის წევრები, რომელიც ასოცირდება ქურთების მოძრაობასთან, გამუდმებით იდევნებიან; მათგან არჩეული ოფიციალური პირები, პარლამენტის წევრები და ადგილობრივი წარმომადგენლობები გადაყენებული არიან თანამდებობიდან და სისხლის სამართლის პასუხისგებაში არიან მიცემულნი (Koontz 2020).

ბუნებრივია, რომ ქურთების საკითხით ადამიანის უფლებათა ორგანიზაციები დაინტერესდნენ და, შესაბამისად, გაფართოვდა მათი ფარგლები ანტიდისკრიმინაციული მიდგომის გამოყენებით. ადამიანის უფლებების ასოციაციამ (IHD) ქურთების უფლებების დარღვევას ორი სახის შეფასება მისცა: ერთი, რომ დაირღვა მათი როგორც მოქალაქეების უფლებები საგანგებო მდგომარეობის პირობებში და მეორე - როგორც ეთნიკური უმცირესობების, რომელთა მიმართაც აშკარად იყო გამიზნული ეს ზომები (Çalı 2007, 224). მთავრობის მხრიდან სიტუაციის მოგვარების მიმართ გამოთქმულმა კრიტიკამ ზოგიერთს აფიქრებინა, თითქოს ეს იყო PKK-ს მიმართ მხარდაჭერა, რამაც ორგანიზაციის შიგნით არეულობა გამოიწვია. საბოლოო ჯამში ადამიანის უფლებების ასოციაცამ (IHD) უფრო მკაფიო ნაბიჯი გადადგა და „თავის მოხსენებებში შეიტანა უცნობი პარტიების მიერ პოლიტიკური ნიშნით მკვლელობის შემთხვევები და დაგმო PKK-ს მსგავსი შეიარაღებული პოლიტიკური ორგანიზაციები“ (Öztekin 2009, 45).

თურქეთის მოსახლეობის დაახლოებით 15% ალევიზმის მიმდევარია, რომელიც უმრავლესობათა სუნიტური ისლამისგან განსხვავდება და ხშირად მემარცხენე პოლიტიკურ მიმდევრობასთან ასოცირდება. როგორც Alemdar (2012, 119 – 120) აღწერს, ალევიზმის მიმდევართა შემთხვევები დევნისა და ტრაგედიების კიდევ ერთი ფურცელია ისტორიაში. 1930-იანი წლების Dersim-ის მკვლელობები მემარჯვენე ფრთის წევრთა ჯგუფების მიერ ადრეულ 1980-იან წლებშიც გაგრძელდა. 1993 წელს ალევიზმის მიმდევარი ინტელიგენცია ქ. Sivas-ში მდებარე ერთ-ერთ სასტუმროში დაწვეს (Madimak-ის ხოცვა-ჟლეტა). ორი წლის შემდეგ კი Gazi-ის კვარტალში მდებარე ყავის სახლებს დაესხნენ თავს, რის შედეგადაც 17 ადამიანი დაიღუპა.

Madimak-ის ხოცვა-ჟლეტის გამოძიებისა და დამნაშავეთა დასჯის საკითხი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი აღმოჩნდა IHD-ის განვითარებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ასოციაცია ზოგადად სიკვდილით დასჯის წინააღმდეგი იყო, თავდაპირველად თავს იკავებდნენ დამნაშავეთა დასაცავად აქტიურობისგან. ადამიანის უფლებათა ასოციაციაში არსებულმა განსხვავებულმა მიდგომებმა, როგორც Negrón-Gonzales (2012, 420) აღნიშნავს „გარდამტეხი ცვლილება მოახდინა აზროვნებაში“, რამდენადაც ორგანიზაციამ გადაწყვიტა დაპირისპირებოდა „სიკვდილით დასჯის ყველა შემთხვევას, განურჩევლად იმისა, თუ ვინ იჯდა ბრალდებულის სკამზე.“

IHD-ის გამუდმებული აქტიურობა სახელმწიფოს შეუმჩნეველი არ დარჩენია. 2001 წლისთვის 400-მდე სარჩელი იყო აღძრული ასოციაციის წინააღმდეგ, 300 აქტივისტი ტრიბუნალს გადასცეს, 14 კი - მოკლეს (Çalı 2007, 222 – 223); მათი უამრავი ოფისი პოლიციამ დაარბია (Öztekin 2009, 45), ასოციაციის წევრები „სეპარატისტებად და ტერორისტებად“ შერაცხეს, იმის გამო, რომ აწარმოებდნენ ადამიანის უფლებების დარღვების შემთხვევების მონიტორინგს სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთში“ (Çalı 2018, 10). მიუხედავად ამ ყველაფრისა, უნდა აღინიშნოს, ორგანიზაციას არ შეუწყვეტია მუშაობა ლტოლვილების, ქალთა და LGBT თემის წევრთა უფლებების დასაცავად და ეკოლოგიური საკითხების მიმართულებით (Çalı 2018, 11; Oztekin 2009, 44).

ამქამინდელი მდგომარეობა

2013 წლის Gezi-ის საპროტესტო აქციებმა და სამხრეთ-აღმოსავლეთში მომხდარმა 2015 წლის შეიარაღებულმა კონფლიქტმა დაგვანახა პოლიტიკის ლიბერალიზაციისკენ შემობრუნება. სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბა 2016 წლის 15 ივლისის წარუმატებელი გადატრიალების მცდელობის შემდეგ. როგორც ყველა ერთხმად აღნიშნავდა, მთავრობის რეაქცია ამ მოვლენებისადმი მწვავე და გადაჭარბებულიც კი იყო (Osborn 2016). 2019 წლის 4 მარტის მონაცემებით 150,348 საჯარო მოსამსახურემ დაკარგა სამსახური, რომელთა შორისაც 6,000-ზე მეტი აკადემიკოსი იყო, ხოლო 4,500 კი - მოსამართლე და პროკურორი; დაკავეს 96,885 პირი, მათ შორის, 319 ჟურნალისტი, დახურეს 189 მედია საშუალება (Turkey Purge 2019). კარგი დღე არც ადამიანთა უფლებების მოძრაობას დაადგა. IHD-ის სპეციალური მოხსენება (Human Rights Association 2019) ეხება 2016 წლიდან მოყოლებულ 250 სასამართლო შემთხვევას და მათი წევრებისა და აღმასრულებლების მიმართ დაწყებულ გამოძიებას; მხოლოდ მათი თავმჯდომარის Eren Keskin-ის წინააღმდეგ 143 სარჩელი იყო აღძრული. ქვეყანაში გამოხატვის თავისუფლების ხარისხის ნათელი მაგალითია იმ 648 ადამიანის „პოსტი" სოციალურ მედიაში, რომლებიც 2018 წელს სირიაში თურქი სამხედროების მონაწილეობას აკრიტიკებდნენ (Human Rights Watch 2018).

1. მიგნებები თვითაღწერა

იმის გამო, რომ რეალური დიალოგის შესაძლებლობა არ იყო, ვარჩიეთ მათთვის ზოგადი კითვა დაგვესვა მათ წარსულზე და თავად შეეფასებინათ, რომელი პასუხი იქნებოდა მნიშვნელოვანი. აბსოლუტური უმეტესობა ყურადღებას ამახვილებდა ამჟამინდელ ან წარსულ *ჩართულობაზე აქტივიზმში* (9), როგორც მემარცხენე ორგანიზაციებში ან პროფკავშირებში, ასევე, აღწერდნენ მათ *კავშირს IHD*-თან (8). ბევრი, ასევე, ყურადღებას ამახვილებდა მათ პროფესიულ *გამოცდილებაზე* (8), იყვნენ იურისტები და ჟურნალისტები, რომელთაც *სახელმწიფოს მხრიდან ძალადობის* პირადი გამოცდილება ჰქონდათ (8), მათი უმეტესობა ან დაკავებული იყო ან პატიმრობაში იმყოფებოდა. საერთო ჯამში, აღნიშნული პასუხობს IHD-ის პოზიციას, როგორც მემარცხენე იდეოლოგიისა და პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა პოზიციის გამომხატველი ორგანიზაციის სულისკვეთებას. გარდა ამისა, მცირე ნაწილმა გაიხსენა მათი შიდა მიგრაციის ისტორია (5), ხოლო ორმა მიუთითა მათ ქურთულ *წარმომავლობაზე*. ასევე, სამმა მათგანმა მოგვითხრო მათი *ოჯახების ისტორიები*.

2. ადამიანის უფლებებისადმი ინტერესის გაჩენა და მოძრაობაში ჩაბმა

რესპონდენტეპის პასუხებში ადამიანის უფლებებისადმი ინტერესის გაჩენის ნაწილში მეორდებოდა უსამართლობასთან გამოცდილების თემა. ბევრი იხსენებდა *ციხეში ყოფნის პერიოდს* (6), თუ როგორ უჩნდებოდათ სოლიდარობის გრძნობა იმ ადამიანების მიმართ, ვინც მსგავს სიტუაციაში იყვნენ. ერთმა რესპონდენტმა გაიხსენა, როგორ აღმოჩნდა მესამე კურსის სტუდენტი გისოსებს მიღმა და აღნიშნა: „მაშინ ბევრ მოხალისე იურისტს შევხვდი, რომლებიც ჩვენ დასაცავად იბრძოდნენ... მე ვგრძნობდი მათ მხარდაჭერას".

უსამართლო მკვლელობებისა და გაუჩინარებების თემა ერთ-ერთი საკითი იყო, რომელზეც გამოკითხული ადამიანები მიუთითებდნენ (4). ერთმა აქტივისტმა მამის ისტორია მოგვიყვა, რომელიც პოლიციელმა მოკლა, ხოლო მიუხედავად არსებული მტკიცებულებებისა, ამ პოლიციელს 4 წლიანი სასჯელი მიუსაჯეს და უფრო მეტიც, წელიწადნახევარში ციხიდანაც კი გამოვიდა. ვციტირებ მის სიტყვებს: „სახელმწიფომ ის საუკეთესო წლები მომპარა ცხოვრებიდან, რომელიც მამასთან ერთად უნდა გამეტარებინა."

ზოგიერთი რესპონდენტი უთითებდა *გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისა და დისკრიმინაციის შემთხვევაზე* (4). ალევიზმის მიმდევარი მონაწილე, რომელმაც ორივე უფლების დარღვევა საკუთარ თავზე გამოსცადა, გვიყვება:

> კულტურასა და რწმენასთან დაკავშირებული დისკრიმინაცია ადრეულ ასაკშივე გამოვცადე მიგრაციის გამო... პირველი გააზრებული პროტესტი ყურანის კურსის დროს გამიჩნდა, რომელსაც 9 წლის ასაკში ვესწრებოდი... 15 წლის ვიყავი, როდესაც პირველად მოვხვდი ბავშვების უფლებების შესახებ სტატიაში სკოლის კედლის გაზეთისთვის (ანონიმური აქტივისტი 2020)

როგორც ერთ-ერთი ქურთი ეროვნების რესპონდენტი აღნიშნავს: "ქურთი საზოგადოების წევრობა დაბადებიდანვე ნიშნავს, რომ შენი უფლებები დაირღვევა."

კიდევ ერთი საკითხი იყო **მათი პოლიტიკური შეხედულებების ევოლუცია** (5). გიზიარებთ ზოგიერთი მათგანის იმედგაცრუებას იმ პოლიტიკური პარტიების მიმართ, რომელთა წევრებიც იყვნენ:

> როგორც ვიცი, სოციალიზმი ადამიანების სასიკეთოდ განიმარტება. მაგრამ მემარცხენე ორგანიზაციებისთვის ყველაფერი სხვაგვარადაა... როდესაც დავინახე, რომ პარტია თვალს ხუჭავდა სომხებისა და სხვა ქრისტიანული საზოგადოების გენოციდის შემთხვევებზე, ქურთი ხალხის დევნაზე, თურქული სტილის სოციალიზმისა და კომუნიზმის მიმართ ნდობა დამეკარგა (ანონიმური აქტივისტი 2020).

ზოგის აზრით, ეს *მათი რწმენის ლოგიკური გაგრძელება* იყო, მაგალითისვის:

> ბრძოლა ადამიანის უფლებებისთვის არის იმ სოციალისტური ბრძოლის ნაწილი, რომლისაც მწამს. მსურდა, ყოველგვარი ჩარჩოების გარეშე სხვა ადამიანებთან მქონოდა ურთიერთობა. ამიტომაც მე გავხდი ადამიანის უფლებათა დამცველი (ანონიმური აქტივისტი 2020).

3. ადამიანის უფლებები და ადამიანის უფლებათა დაცვა

ინტერპრეტირების კუთხით შესაძლებელია ორი თემის გამოყოფა: **ჰუმანიზმი და სამოქალაქო მოვალეობა** (11) და **კონკრეტულ უფლებებზე** აქცენტირება (6). ორივე მათგანი ხშირად იკვეთებოდა ერთმანეთში, თუმცა, ზოგი რესპონდენტი მხოლოდ ერთ კონკრეტულთან მიმართებაში აკეთებდა განმარტებას.

ძირითად თემაში რამდენიმე მოტივია. ერთ-ერთი რესპონდენტი გამოჰყოფს *ადამიანის არსებობასა და ადამიანის უფლებებისთვის ბრძოლას შორის* არსებულ კავშირს და განმარტავს: "[უფლებებისთვის და თავისუფლებებისთვის ბრძოლა] წარმოადგენს [ადამიანად ყოფნის] სოციალური და ინდივიდუალური პასუხისმგებლობის შესრულებას." კიდევ ერთის განცხადებით: "ადამიანების კარგად ყოფნისთვის, უთანასწორობისა და უსამართლობის წინააღმდეგ მათი უფლებების დასაცავად ყველა არსებული საშუალებით მიწევს ბრძოლა." მეორე მოტივად შეიძლება დასახელდეს *გაფართოებული აღქმა*, რამდენადაც ადამიანის უფლებებს მოიაზრებენ რაღაც უფრო მასშტაბურის ნაწილად, „მშვენიერ სამყაროდ" ან „უფრო დიდ სურათად" ბუნებისა და ცხოველების უფლებებთან ერთად, და მათ როლზე ჰორიზონტის გაფართოების მიზნით.

განსაკუთრებულ უფლებებზე საუბრისას რესპონდენტები ხშირ შემთხვევაში გამოჰყოფდნენ *სიცოცხლისა და სამართლიანი სასამართლოს უფლებებს*, *გამოხატვის თავისუფლებასა* და *დისკრიმინაციის აკრძალვას*.

4. რატომ ინკლუზიური?

თორმეტივე მონაწილემ დაადასტურა, რომ ადამიანის უფლებების ყველაზე უხეშ დამრღვევებსაც კი უნდა ჰქონდეთ საკუთარი თავის დაცვის უფლება. მათი პასუხების მიხედვით, სწორედ, ეს არის ადამიანის უფლებების ფილოსოფიის საფუძველი. ეს არის, რაც მათ სხვებისგან გამოარჩევს და უთითებდნენ ოქროს წესზე - მოექცე სხვეს ისე, როგორც გინდა, რომ თავად მოგექცნენ.

თანმიმდევრულობა (9). უმრავლესობა იზიარებს ინკლუზიურობის პრინციპის იდეას, როგორც ადამიანის უფლებების ფუნდამენტურ პრინციპს. ერთ-ერთი აქტივისტის აზრით:

> თურქეთში ადამიანის უფლებების დამრღვევები ფაქტობრივად დაცულნი არიან ყოველგვარი სათანადო წესით დასჯისა თუ დევნისგან. მაგრამ, დიახ, თუ ისინი გახდებიან ადამიანის უფლებების დარღვევის მსხვერპლნი სხვა კუთხით, მათ უნდა ჰქონდეთ დაცვის საშუალება და სწორედ, ეს არის სამართლიანობის საფუძველი. ეს არის ადამიანის უფლებების ძირითადი პრინციპი (ანონიმური აქტივისტი 2020).

ერთ-ერთი მთავარი იდეა იყო, რომ უაზრობა იქნებოდა იმის თქმა, რომ წამების წინააღმდეგი ხარ და ამავე დროს, ხმა არ ამოგეღო მაშინ, როდესაც ისეთი ადამიანის მიმართ ექნებოდა წამებას ადგილი, რომელიც არ მოგწონს. ასევე, გვთავაზობდნენ ძველი დანაშაულებები გამოგვეყო და მიგვემართა დღევანდელი უსამართლობისკენ: "უფლების დამრღვევმა პასუხი უნდა აგოს თავისი ქმედებისთვის, მაგრამ,

ამავე დროს, მისი უფლების დარღვევის შემთხვევაში მას უნდა ჰქონდეს დაცვის საშუალება" (ანონიმური აქტივისტი 2020).

განსხვავებულობა (4). როგორც ერთ-ერთი გამოკითხული უთითებდა: „თურქეთში ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით სიტუაცია ცუდია, რადგან მთავრობას მხოლოდ მისი მხარდამჭერები ანაღვლებს." ამის ფონზე, საპირისპირო პოზიციაზე დგომა მნიშვნელოვანია: "თუ ჩვენ არ დავიცავთ მათ უფლებებს, ჩვენც მთავრობას დავემსგავსებით" (ანონიმური აქტივისტი 2020).

მოექცე სხვებს ისე, როგორც თავად გინდა რომ მოგექცნენ (3). ამ ერთმა პატარა მოტივმა ფაქტობრივად ახსნა ცნობილი წესი, რომელიც, ასევე, შესაძლებელია შეფასდეს, როგორც პრეცედენტის შექმნის შიში, სიფრთხილის ელემენტი: „თუ რომელიმე ფუნდამენტური უფლება დაირღვევა, არაა გამორიცხული, ერთ დღესაც შენ აღმოჩნდე ამ უფლების დარღვევის მსხვერპლი" (ანონიმური აქტივისტი 2020).

5. რისთვის?

თურქეთში ადამიანის უფლებათა დამცველების როლზე არსებულ განსხვავებულ მოსაზრებათა შორის შეიძლება გამოიყოს **ბრძოლის გაგრძელება** (9). აქტივისტების უმეტესობისთვის ეს ბრძოლა იქცა თავდაცვის უკანასკნელ საშუალებად და შესაბამისად, მათთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. რიგითი ადამიანების ხმა და უსამართლობასთან ბრძოლა სხვებისთვის შესაძლოა, იმედის ერთგვარი „მესიჯი" ყოფილიყო და მილიონობით მათგანი გაეერთიანებინა. ქვემოთ მოცემულია ნაწყვეტი ყოფილი პოლიტპატიმრის მონაყოლიდან:

> მე ყოველთვის ჩემი გზით ვცხოვრობ - იქნება ეს ციხეში თუ ციხის გარეთ. როდესაც ციხეში მოვხვდი, მეკითხებოდნენ, რატომ ვაკეთებდი ამ ყველაფერს; მე არც ქურთი ვიყავი და არც ალევიზმის მიმდევარი, არამედ მუსლიმი თურქი. ჩემი პასუხი იყო ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია. მიმაჩნია, რომ ადამიანების წინაშე პასუხისმგებლობა მაქვს და არ ვაპირებ მასზე უარის თქმას... იქამდე ვიბრძოლებ, სანამ ეს კედელი არ დაინგრევა. მათ შესაძლოა, ციხეში ჩამსვან, მაგრამ მაინც ყოველთვის იმავეს ვიტყვი. მე ვსაუბრობდი არა მხოლოდ ადამიანის უფლებებზე, არამედ ღირებულებების გაზრდასა და კაპიტალიზმის მოსპობაზე (ანონიმური აქტივისტი 2020).

წარმატების მაგალითად მოყავდათ შაბათის დედების ცნობილი საპროტესტო გამოსვლები, რამდენადაც თვლიდნენ, რომ მათი შემწეობით გადარჩა ბევრი პატიმრის სიცოცხლე.

სახელმწიფო შენი მეგობარი არ არის (7). ბევრი მონაწილე აღნიშნავდა სახელმწიფოს მტრულ დამოკიდებულებას ადამიანის უფლებათა აქტივიზმის მთავარი იდეოლოგიის მიმართ. ზოგ შემთხვევაში *კონკრეტულ მაგალითებსაც* იხსენებდნენ, რომლებსაც სამუშაოზე აწყდებოდნენ; მაგალითად მუქარა, მოღალატეებთან და ქვეყნის აგენტებთან მათი დაკავშირება, ან სახელმწიფოს მიერ Madimak-ის ხოცვა-ჟლეტის დამნაშავეების გათავისუფლება და ავადმყოფი ხალხის ციხეში გამოკეტვა. ამ პერიოდში, *სახელმწიფო ძალაუფლების ბუნებას* უფრო ფართო პერსპექტივიდანაც განიხილავდნენ:

> თუ სადმე ძალაუფლება არსებობს, იქ აუცილებლად აქვს ადგილი უფლების დარღვევას. იქნება ეს თურქეთი თუ სხვა სახელმწიფო, მნიშვნელობა არ აქვს. ყველა სახელმწიფო, მათ შორის, ევროპული სახელმწიფოებიც, მხოლოდ თავიანთ სარგებელზე ფიქრობენ. მათ არ აინტერესებთ ხალხი და ზოგადად კაცობრიობა (ანონიმური აქტივისტი 2020).

თურქეთის შიდა პოლიტიკაზე, სხვა რესპონდენდი აღნიშნავს:

> სახელმწიფო თავიდანვე განუდგა ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს. სახელმწიფო ყველა ღონეს მიმართავდა ადამიანის უფლებების დამცველთა დისკრედიტაციისთვის, არ ერიდებოდა მათ მკვლელობასაც, რადგან სახელმწიფოსთვის ადამიანის უფლებები აღიქმებოდა ელემენტად, რომელიც ძირს უთხრის მთავრობის ავტორიტეტს და საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს არსებობას (ანონიმური აქტივისტი 2020).

სამართლებრივ ასპექტებზე მხოლოდ სამმა ადამიანმა გაამახვილა ყურადღება, დაწყებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოდან დამთავრებული გაეროთი, როგორც იძულების მექანიზმზე, რომ სახელმწიფომ შეასრულოს მისი ვალდებულებები და გააუმჯობესოს შიდა სამართლებრივი ბაზა.

დასკვნა

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ ყოფილმა პოლიტპატიმრებმა, აქტივისტებმა და ინტელიგენციამ შექმნეს ადამიანის უფლებათა ასოციაციის ბირთვი. აქტივისტთა უმეტესობა პროცესებში მათი ჩართულობის მთავარ ინდიკატორად უთითებდა პირად წარსულ გამოცდილებას უსამართლობასა და ჩაგვრასთან, რომლებიც ტრავმულ მოვლენებთან იყო დაკავშირებული; ზოგი, ასევე, აღნიშნავდა, რომ ეს იყო მათი პოლიტიკური მრწამსის ევოლუციის შედეგი. ადამიანის უფლებების ასოციაცის (IHD) წევრთა განმარტებით, ადამიანის უფლებების დაცვა აღიქმება ადამიანის არსებობის თანმდევად ან უფრო ფართო მსოფლმხედველობის ნაწილად. ისინი, ვინც ადამიანის უფლებების პერსონალიზება არჩიეს, აქცენტს აკეთებდნენ სიცოცხლის და სამართლიანი სასამართლოს, გამოხატვის თავისუფლებისა და დისკრიმინაციის აკრძალვის უფლებაზე, რაც თურქეთში ამ უფლებებით სარგებლობის სირთულეებს კიდევ უფრო ნათელს ხდიდა

მიუხედავად იმისა, რომ ყველა მონაწილე ერთხმად აღიარებდა ადამიანის უფლებების საყოველთაო ბუნებას, სამი განსხვავებული თემა გამოვლინდა, რომელთა შორისაცაა მედეგობა, სხვებისგან განსხვავებულობა და ექცეოდე სხვებს ისე, როგორც თავად გინდა, რომ მოგექცნენ. როგორც მანამდეც დავინახეთ, ამ იდეის გატარება IHD-ის მთავარი გამოწვევა იყო, თუმცა, ახლა ეს ჯგუფის სოციალურ გამოხატულებად იქცა.

რესპონდენტების მიერ თანამედროევე თურქეთის სახელმწიფოში მათი როლის ჩვენებისას, გაითვალისწინეს ყველა არსებული სირთულე და, შესაბამისად, ასახეს სახელმწიფო სისტემაში. მიუხედავად ყველაფრისა, ისინი მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ უნდა იბრძოლონ გაუჩერებლად, როგორც ჩაგრულთა დაცვის უკანასკნელ საშუალებად და სიმბოლოდ და არ დაკარგონ მომავალში წარმატების მიღწევის იმედი. ზოგმა ასევე თქვა, რომ ყველა საშუალება უნდა გამოიყენონ, მათ შორის, ადგილობრივი და საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმები. ეს გულისხმობს, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ადამიანის უფლებათა საკითხებს ევროკავშირი-თურქეთის ურთიერთობაში.

აღნიშნულმა კვლევამ საშუალება მოგვცა, გვეჩვენებინა წინასწარი მიგნებები, თუმცა, საკითხის ღრმა და ყოვლისმომცველი გაგების მიზნით, აუცილებელია, დამატებითი კვლევები მოცემული საკითხის ირგვლივ. IHD შეირჩა იმ ნიშნით, რომ იგი ყველაზე ძველი და კარგად ცნობილი ადამიანის უფლებების დაცვის ორგანიზაციაა თურქეთში, თუმცა, არა ერთადერთი. შესაბამისად, დამატებითი სარგებლის მომტანი იქნება სხვა გარემოებებში დაფუძნებული ორგანიზაციებისა და მათი წევრების საქმიანობის კვლევა და ანალიზი, ვიდრე რაიმე თეორიის უფრო ფართოდ გავრცელება მოხდება.

ბიბლიოგრაფია:

Acharya, Amitav. 2004. "How Ideas Spread: Whose Norms Matter? Norm Localization and Institutional Change in Asian Regionalism." *International Organization* 58 (2): 239–275. http://www.jstor.org/stable/3877858

Alemdar, Zeynep, and Corbacioglu Rana B. 2012. "Alevis and the Turkish State." *Turkish Policy Quarterly* 10 (4): 117–24

Arat, Zehra F. Kabasakal. 2008. "Human Rights Ideology and Dimensions of Power: A Radical Approach to the State, Property, and Discrimination." *Human Rights Quarterly* 30 (4): 906–32. https://doi.org/10.1353/hrq.0.0037

Bakiner, Onur. 2013. "Is Turkey Coming to Terms with Its Past? Politics of Memory and Majoritarian Conservatism." *Nationalities Papers* 41 (5): 691–708. https://doi.org/10.1080/00905992.2013.770732

Bryman, A. 2012. *Social Research Methods*. 4th ed. New York: Oxford University Press

Çalı, Başak. 2007. "Human Rights Discourse and Domestic Human Rights NGOs." In *Human Rights in Turkey*, edited by Zehra F. Kabaskal Arat, 217–32. Philadelphia: University of Pennsylvania Press

———. 2018. "Human Rights Organizations in Turkey." In *The Oxford Handbook of Turkish Politics*, edited by Güneş Murat Tezcür. Oxford University Press. 10.1093/oxfordhb/9780190064891.013.36

Campbell, Marie L. 2002. "Research for Activism and Institutional Ethnography: Understanding Social Organization

from inside It." Paper presented at the Sociology for Changing the World: Political Activist Ethnography Conference, Laurentian University, Sudbury, November 2002. https://www.researchgate.net/profile/Marie_Campbell2/publication/238694976_Research_for_Activism_Understanding_social_organization_from_inside_it/links/0c96053972ddad2668000000/Research-for-Activism-Understanding-social-organization-from-inside-it.pdf.

Eder, Mine. 2016. "Turkey". In *The Middle East,* 14 ed., edited by Ellen Lust. CQ Press. Kindle

"Key Findings 2020." European Commission. October 6, 2020. Accessed December 28, 2020. https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/country_20_1791

Fincancı, Şebnem Korur. 2019. Human Rights Activism Interview by Aylin Tekiner. *Authoritarianism and Resistance in Turkey: Conversations on Democratic and Social Challenges*

Goff-Taylor, Moira. 2017. "The Shifting Drivers of the AKP's EU Policy." Wilson Center. 2017. Accessed December 28, 2020. https://www.wilsoncenter.org/publication/the-shifting-drivers-the-akps-eu-policy

Glaser, B. G., A. L. Strauss. 1967. *The Discovery of Grounded Theory: Strategies for Qualitative Research*. Chicago, IL: Aldine

Grossklaus, Mathias. 2015. "Appropriation and the Dualism of Human Rights: Understanding the Contradictory Impact of Gender Norms in Nigeria." *Third World Quarterly* 36 (6): 1253–67. https://doi.org/10.1080/01436597.2015.1047206

Human Rights Association. 2019. *Report on Increased Pressures on Human Rights Defenders, Human Rights Association, and its Executives*. Accessed February 15, 2020. https://ihd.org.tr/en/wp- content/uploads/2019/06/20190531_Special-ReportOnHRAHRDs.pdf

Human Rights Watch. 2018. "Turkey: Crackdown on Social Media Posts". HRW.org. Accessed May 24, 2020. https://www.hrw.org/news/2018/03/27/turkey-crackdown-social-media-posts

Kılıç, H. Ayla. 1998. "Democratization, Human Rights and Ethnic Policies in Turkey." *Journal of Muslim Minority Affairs* 18 (1): 91–110. https://doi.org/10.1080/13602009808716395

Koontz, Kayla. 2020. *Turkey's Parliamentary Purge and the HDP's Dilemma.* Middle East Institute. Accessed May 24, 2020. https://www.mei.edu/sites/default/files/2020-02/Turkey%E2%80%99s%20Parliamentary%20Purge%20and%20the%20HDP%E2%80%99s%20Dilemma_Feb%203%2C2020.pdf

Kuneralp, Selim. 2017. "Turkey-EU Relations: Past, Present – and Future?" Heinrich-Böll-Stiftung Brussels. May 2, 2017. Accessed December 28, 2020. https://eu.boell.org/en/2017/05/02/turkey-eu-relations-past-present-and-future

Levene, Mark. 1998. "Creating a Modern 'Zone of Genocide': The Impact of Nation- and State- Formation on Eastern Anatolia, 1878–1923." *Holocaust and Genocide Studies1* 12 (3): 393–433

Linden, Annette, and Bert Klandermans. 2007. "Revolutionaries, Wanderers, Converts, and Compliants: Life Histories of Extreme Right Activists." *Journal of Contemporary Ethnography* 36 (2): 184–201

Merry, Sally Engle. 2006. "Transnational Human Rights and Local Activism: Mapping the Middle." *American Anthropologist* 108 (1): 38–51

Nasie, Meytal, Daniel Bar-Tal, and Orit Shnaidman. 2014. "Activists in Israeli Radical Peace Organizations: Their Personal Stories about Joining and Taking Part in These Organizations." *Peace and Conflict: Journal of Peace Psychology* 20 (3): 313–29. https://doi.org/10.1037/pac0000040

Negrón-Gonzales, Melinda. 2012. "Cooperation Between Secular and Religious Rights Organizations in Turkey." *Turkish Studies* 13 (3): 415–30. https://doi.org/10.1080/14683849.2012.717842

Osborn, Samuel. 2016. "Turkey Coup Attempt: Government Had List of Arrests Prepared before Rebellion, EU Commissioner Says". Independent. Accessed May 24, 2020. https://www.independent.co.uk/news/world/europe/turkey-coup-attempt-erdogan-government- arrests-military-uprising-eu-commissioner-a7142426.html

Öztekin, Berna. 2009. "Human Rights in Turkey: A Comparative Study of IHD and Mazlum-Der." MA Thesis, Sabancı University

Sarrica, Muro, and Alberta Contarello. 2004. "Peace, War and Conflict: Social Representations Shared by Peace Activists and Non-Activists." *Journal of Peace Research* 41 (5): 549–68. https://doi.org/10.1177/0022343304045976

Tocci, Nathalie. 2014. "Turkey and the European Union A Journey in the Unknown." Center on the United States and Europe at Brookings. https://www.brookings.edu/wp-content/uploads/2016/06/turkey-and-the-european-union.pdf

Turkey Purge. 2019. "Turkey's Post-Coup Crackdown." TurkeyPurge.com. Accessed May 24, 2020. https://turkeypurge.com/

Visweswaran, Kamala. 2013. "Introduction: Geographies of Everyday Occupation." In *Everyday Occupations: Experiencing Militarism in South Asia and the Middle East*, edited by Kamala Visweswaran, 1 – 28. Philadelphia: University of Pennsylvania Press

Wilson, John. 1973. *Introduction to Social Movement*. New York: Basic Books